საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №509

2017 წლის 19 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ფულადი სარგოს (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების) და დანამატის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 25 აპრილის №211 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ფულადი სარგოს (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების) და დანამატის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 25 აპრილის №211 ბრძანებაში (ვებგვერდი, 25/04/2016, სარეგისტრაციო კოდი: 140130000.22.034.016531) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლით დამტკიცებული №52 დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №52

სასაზღვრო პოლიციის სწრაფი რეაგირების მთავარი სამმართველო და კინოლოგიის სამმართველო

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
მთავარი სამმართველოს უფროსი	2545
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	2235
სამმართველოს უფროსი	2115
სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამსახურის უფროსი	2000
სამსახურის უფროსის მოადგილე	1290
განყოფილების უფროსი	1235
მთავარი სპეციალისტი, უფროსი ოფიცერი	1010
წამყვანი სპეციალისტი, ოფიცერი	945
სპეციალისტი	770

“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2017 წლის 21 სექტემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.